

ფიზკულტურა — ხალხის ყოფაში

იანტა (საკდესის სპეცკორ.) მოსახლეობაში ფიზკულტურის შემდგომი მასობრივი განვითარების პერსპექტივებზე მსჯელობს აქ მიმდინარე 12 ქვეყნის სპორტულ დელეგაციის, რომლის მუშაობაში მონაწილეობს ხელმძღვანელების თანხმობით ბულგარეთის, უნგრეთის, ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკის, გერმანიის, მონგოლეთის, პოლონეთის, რუმინეთის, ჩეხოსლოვაკიის, ლაოსის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის, სოციალისტური ეთიოპიისა და საბჭოთა კავშირის დელეგაციები.

თათბირი შესავალი სიტყვით გახსნა სსრ კავშირის სპორტკომიტეტის თავმჯდომარე ს. პ. პავლოვმა. მოხსენებით თქმულ: „საბჭოთა კავშირის მასობრივი ფიზკულტურისა და სპორტის მდგომარეობა და განვითარების პერსპექტივები“ გამოვიდა საბჭოთა კავშირის სპორტკომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ვ. ა. იონინი.

თათბირის დაწყებამდე სტუმრები ეწვივნენ ქვეყნის უდიდეს პიონერულ ბანაკს — „არტეტს“. არც ერთი დღე სპორტის გარეშე! — ასეთია არტეტში დამსვენებელთა დღეები.

სტუმრები დაესწრნენ ფრენბურთში, მაგიდის ჩოგბურთში, ფეხბურთში გამართულ შეჯიბრებს. აქ ნორჩი სპორტსმენების განკარგულებაშია სტადიონი, სამი საცურაო აუზი, სხვადასხვა სპორტული დარბაზი და სპორტთამაშების მოედნები.


— არტეტში პირველად შვიდი წლის წინ ვიყავი, — საკდესის კორესპონდენტს უთხრა პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის ფიზკულტურისა და სპორტის მთავარი კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ა. იზიდორჩიკმა. — ბანაკი ახლა გაცილებით უკეთესი, მშვენიერი გამ-

ხდარა — მას მრავალი ახალი პავილიონი, კარგი სპორტული მოედნები, შესანიშნავი აუზები შემატებია. მშვენიერია, რომ სწავლასთან ერთად აქ დიდი ყურადღება ეთმობა ფიზკულტურასა და სპორტს.

— ჩვენ არტეტში თვალნათლივ დავრწმუნდით თუ პარტიისა და სახელმწიფოს რა უდიდესი ზრუნვით არიან გარემოსილნი საბჭოთა ბავშვები, — აღნიშნა ეთიოპიის ეროვნული სპორტული კომისიის განყოფილების გამგე დ. ბერხანმა, — აქ ცდილობენ აღიზარდოს კარგი, ფიზიკურად მაგარი, გამონათობილი მოქალაქენი, რომლებსაც ბევრი რამის გაკეთება შეეძლებათ თავიანთი ქვეყნის საკეთილდღეოდ.



პროლეტარებო ყველა კვირისა. შეერთდით!



1979 წ.
№ 202
(6513)
21
ოქტომბერი
კვირა.
ფასი 3 კპა.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო
Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов
13 აპრილიდან

საუბავის რაიონში, ხდის ხეობაში მოეწყო თბილისის უნივერსიტეტის სტუდენტთა და თანამშრომელთა 36-ე ალბინადა. მათ გარდა ალბინადაში მონაწილეობდნენ ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლების კოლექტივებიც.

სურათზე: ლაშქრობის ერთ-ერთი მომენტი.
ლ. გვარჯალაძის ფოტო.
(მე-2-8 33.)

ქართულში

● ზადარაძე
ოთხნობიერი იმპერია
რიო-დე-ჟანეიროში (ბრაზილია) მოქალაქე ვაჟთა საზოგადოების რეპრეზენტანტი ბოლო ტურის წინ მხოლოდ ოთხი მინაწილი ინარჩუნებს შანსებს მსოფლიო ჩემპიონ ა. კარპოვიდან მატჩის უფლებებისთვის. ესენი არიან რ. პიუბენი (გფრ), ლ. პორტი (უნგრეთი), ტ. პეტროსიანი და ი. ტიშანი (პოლონია). 18 ტურისა და გადადებული პარტიების წამთავრების შემდეგ პიუბენს 11,5 ქულა აქვს, პორტიმს — 11, პეტროსიანსა და ტიშანს — 10,5-10,5.

გადადებული პარტიების დამთავრება მოულოდნელი შედეგებით აღინიშნა. ასე მაგალითად, თეთრებით მოთამაშე პორტიმს წააგო ს. კაიანთან (ისრაელი), რომელიც ბოლო ადგილზე იმყოფება. შემდეგ პორტიმსა მოუგო დ. ველიმიროვიჩს (იუგოსლავია). პიუბენმა ვერ შეძლო მეტად საჭირო ნახევარი ქულის აღება ირანელ ხ. პარანდისთან შეხვედრაში. პიუბენი ბოლო ტურში თავისუფალია, ამიტომ მისი მდგომარეობა დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ ითამაშებენ მისი მეტოქენი. წარმატებით დამთავრებული გადადებული პარტიების წყალობით საგრძნობლად გაიუმჯობესა მდგომარეობა ტიშანმა, რომელმაც მოუგო ველიმიროვიჩს და ყაიმით დამთავრა შეხვედრა მეორე იუგოსლაველ ბ. ივკოვთან. ყაიმით დამთავრდა, აგრეთვე, ლ. ბლონტინი (არგენტინა) — ი. ბალაშოვის, ივკოვ — გ. გარსიას (კუბა) და ივკოვ — პარან-

დის პარტიები. გარსიამ დაამარცხა დ. სპეი (უნგრეთი). ზადარაძის ბრაზილიელი მოყვარულეები აღფრთოვანებით შეხვდნენ თანამემამულის ე. სუნიეს გამარჯვებას ი. სმიკალთან (ჩეხოსლოვაკია). ამ მოგებას სუნიეს საერთაშორისო ოსტატის წოდება მოუტანა.

შვილი გარის უკვდავ
იმპარაბა ვაჟთა რესპუბლიკური ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში შედგა გადადებული პარტიების დამთავრება.

გ. ზაიჩიკმა დაამარცხა მ. შიშოვი, თ. ხანთაიმი — დ. გედევიანიშვილი. ყაიმით დამთავრდა გ. გიორგაძე — ე. უბილაყას, ზ. მიქაძე — ი. ეფემოვისა და დ. ჩაიბაბია — ლ. ნეურონოვის პარტიები.

შედგა VII ტური. ნ. ჩახოიანი თავის ყოფილ მწვრთნელს მ. შიშოვს შეხვდა. მოწაფემ მასწავლებელს ხარისხი შესწირა. გამთლილმა ოსტატმა თავი არიდა გამწაფეებს, მოწინააღმდეგეს დაუბრუნა ხარისხი და რამდენიმე სეკუნდით შემდეგ ზაიჩი შესთავაზა ჩახოიანი ღრთის ნაკლებობას განიცდიდა და წინადადება მიიღო. ი. ჩიქოვანმა დაამარცხა ე. ბაბახანოვი. ყაიმით დამთავრდა უბილაყა — ზ. აზმაიფარაშვილის, მიქაძე — ა. ბოკუჩავას პარტიები. დანარჩენი შეხვედრები გადაიდო.

7 ტურის შემდეგ უბილაყას 4,5 ქულა აქვს, გ. მიქაძესა და თ. ხანთაქს 4-4 (სამივეს ექვსი პარტიდან), გ. ზაიჩი — 3,5 4-დან.

ა. გელიკანთაძე,
საერთაშორისო არბიტრი.

● კრიტიკა

თასი მასპინძლები მოიპოვეს

ნიუ-იორკი. მსოფლიო თასის პირველი გათამაშება კრივიში შეჯიბრების მასპინძლების — აშშ-ის სპორტსმენთა წარმატებით დამთავრდა. ამერიკელმა მოკრივეებმა მოიპოვეს 7 ოქროს, 2 ვერცხლის და 1 ბრინჯაოს მედალი. საერთო ჯამში 49 ქულა მოაგროვეს.

მეორე ადგილზე გავიდა სსრ კავშირის ნაკრები — 39 ქულა. საბჭოთა მოკრივეებმა 3 ოქროს, 5 ვერცხლის და 2 ბრინჯაოს ჯილდო მოიპოვეს. 10 ქულით III ადგილი დაიკავა ჩრდილოეთ ამერიკის გუნდმა.

საბჭოთა სპორტსმენებიდან „ოქროს“ დაეპატრონენ ვ. დემიანენკო, ს. კონკაბაიევი და ვ. შინი, რომლებმაც ფინალში შესაბამისად სძლიეს ამერიკელ დარმსტრონგს, ლ. სტიბლესს და პაკ იანგ-ის (სამხრეთ კორეა). ვერცხლის ჯილდო ხვდათ: ე. სეფენსი, ვ. რიბაკოვს, ა. კოშჩინს, ა. ნიკოლიანს და ხ. ინკოიანს.

— ჩვენს ბიჭებს გამოცდილება არ ეყოთ, — საკდესის კორესპონდენტთან საუბარში განაცხადა სსრ კავშირის ნაკრების უფროსმა მწვრთნელმა ა. კისელიძემ. — საბჭოთა გუნდი ყველაზე ახალგაზრდაა, მოკრივეთა საშუალო ასაკია 21 წელი, ამასთან კრივი მსოფლიო თასის გათამაშებამ და პირველ რიგში, ამერიკის მოკრივეებთან ბრძოლამ გამოავლინა ზოგიერთი სუსტი ადგილი საბჭოთა სპორტსმენების როგორც ტექნიკურ, ისე ტაქტიკურ მომზადებაში.

— მეოთხე რიგი სირთულეების მიუხედავად, — თქვა სამოყვარულო კრივის საერთაშორისო ასოციაციის პრეზიდენტმა დ. ჰალმა (აშშ). — ჩემის აზრით, ტურნირი წარმატებით ჩატარდა. მან

გვიჩვენა, რომ სამოყვარულო კრივის დონე მუდმივად მაღალდება. იზრდება და ვითარდება მოკრივეთა ინდივიდუალური ოსტატობა. ყველა გუნდში გამოჩინდა ნიჭიერი და დიდი იმედის მომცემი მოკრივე.

— ამ შეჯიბრებაში ყველაფერი არ იყო რიგზე, — აღიარა ჰალმა. ბევრი სამართლიანი საყვედური გამოითქვა ტურნირის ორგანიზატორთა მისამართით, რომლებმაც აშკარად ვერ გაართვეს თავი მოვალეობას. სრულად არ იყო კორტინაცია, სპორტსმენებს არ ჰქონდათ აუცილებელი პირობები. ჩემის აზრით, მომავალი შეჯიბრების ორგანიზატორებმა უნდა შეისწავლონ გავლილი ტურნირის ყველა შეცდომა და არ დაუშვან მისი გაყოფა. (საკდესი).

● ველოსპორტი

პარაპუკით ტრაკი-გზაჯვარი

გუშინ ერევნის „სპარტაკის“ ტრეკზე დაიწყო ველოსიპედისტთა ექვსდღიანი ასპარეზობა, რომელიც გაგრძელდება 40 საუკეთესო სპორტსმენის ვინაობას, ვინც შემდეგ 121 კილომეტრსა და 600 მეტრზე ჩაგუფრ რბოლაში, აგრეთვე 80 კილომეტრზე კრიტიკულში გათამაშებს სსრ კავშირის თასს.

ასპარეზობაში, რომელზეც პირად-გუნდურია, მონაწილეობენ გუნდურ საგზაჯვარი რბოლაში სსრ კავშირის გასული წლის ჩემპიონი ა. მოცკუსი (კლაიპედა), გუნდურ რბოლაში იუნიორთა შორის მსოფლიოს ჩემპიონი ა. პორტოვი, 4 კილომეტრზე გამოდევნებით გუნდურ და ინდივიდუალურ რბოლაში სსრ კავშირის ჩემპიონი ვ. მონაოვი (ორივე — ლენინგრადი) და სხვები.

ნომრის ანონსი



ივანისის ეროვნული ნაკრების წევრი და გფრ-ის „კამბურგის“ ცენტრალური თავდამსხმელი კევი კიანი მოგვითხრობს თავის თავზე და პარტნიორებზე.

სურათზე: კევი კიანი.
(მე-2-8 33.)


ნოღების მინიჭება

საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტმა სსრ კავშირის სპორტის ოსტატის წოდება მიანიჭა:

სასტენდო სროლაში — ზ. ირემიშვილს, შ. თაყაძეს, გ. მარხაიანს (ყველა — „ლოკომოტივი“, თბილისი);

მძლეოსნობაში — გ. გოლუბოვს („განთიადი“, თბილისი);

ციგობაში — ქ. ჯეირანაშვილს, თ. ქუმაიიტაშვილს (ორივე — „შრომითი რეზერვები“, ბორჯომი).



ამჯერად ასაღებურები

გუშინ თბილისის ცენტრალურ ველოდრომზე სტარტი აიღო კიდევ ერთმა საკავშირო პირველობამ. ამჯერად ერთმანეთს ეჯიბრებიან ახალგაზრდები ჩვენი ქვეყნის ველოსპორტის ცენტრებიდან. მონაწილეთა შორის არიან საბჭოთა კავშირის ნაკრების კანდიდატები, სპორტის ოსტატები და საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატები. პროგრამაშია 100 წრეზე ჩაგუფრ რბოლა 20 საშუალოდ ფინიშით.

მონაწილეთა სიმრავლის გამო გუნდში გაიმართა 2 ნახევარფინალი.

ლური ტურნირი, რომლებმაც 12-12 ფინალისტი დაასახლეს. ჩვენი რესპუბლიკიდან ფინალურ ასპარეზობაში მონაწილეობა მოიპოვეს: დინამოელმა ე. მუხაშვილმა და ვანთაილელმა ი. კახაკოვმა, ს. გლაზოვმა და ო. ალექსინმა. გლაზოვმა თავის ნახევარფინალში 33 ქულით იმარჯვა. სპორტსმენებმა დისტანციებზე საათში საშუალოდ 42,99 კმ სისწრაფე განავითარეს.

დღეს ფინალი!

სურათზე: შეჯიბრების მომენტი.
ო. გელაშვილის ფოტო.

ჩვენ ოლიმპიური იდეები

პარჯენა პარკეარკი



30 წელს ახლახან თბილისში გამართულ ხელბურთელთა საკავშირო ჩემპიონატის მატჩებს ადევნებდა თვალს, არ შეიძლება გულგრილი დარჩენილიყო თბილისის „ბურვესტნიკის“ მარჯენა გარემარბის ამბერკი ტაბიძის თამაშის მიმართ. ბოლო ორ შეხვედრაში ტრაპეზირებულნი გამოვიდა სარბიელზე, მაგრამ თავი არ დაუხოვავს და ბოლომდე ჩვეული შემართებით იბრძოდა.

ამბერკი ტაბიძეს თამაშის გამოჩენილი ხელწერა აქვს, რასაც ჩინებული ფიზიკური მონაცემები და ფილიპინური ტექნიკა უმაგრებს ზურგს.

... ჯერ კიდევ სამტრედიის რაიონის მე-14 სკოლაში სწავლობდა, როცა სპეციალისტები დიდ სპორტულ მომავალს უწინასწარ მეტყველებდნენ. მაშინ ამბერკი მძლეოსნობაში ვარჯიშობდა მწვრთნელ გენო მუქერას ხელმძღვანელობით და საკმაოდ მა-

ბის წინ, მოსამზადებელი კურსები ეწყობა. ამბერკიმ იქ დაიწყო მეცადინეობა — იღრმავებდა ცოდნას, თან მძლეოსნობაშიც ვარჯიშობდა. სპორტის დამსახურებულ ოსტატს დიმიტრი იოსელიანს თავაში მოუვიდა ეს ჯანმრთელი ქაბუკი, ასე ითვალა რომ ევლებოდა 185-190 სანტიმეტრზე გადაბულ თამასს და მოხდა ისე, რომ ამბერკიმ მძლეოსნობის სპეციალობით ჩააბარა გამოცდა და სტუდენტიც გახდა.

მაგრამ ხელბურთის სიყვარულმა მაინც თავისი ქნა.

ინსტიტუტის ხელბურთელთა გუნდი საქართველოს პირველობისთვის ემზადებოდა, — იგონებს უფროსი მასწავლებელი ჯემალ ძაგანია — ერთ-ერთ ვარჯიშზე, შემთხვევით, ამბერკიმ გამოგვიარა და ვთხოვე, რამდენიმე დღე ევარჯიშა ჩვენთან და ბათუმში სათამაშოდ წამოსულიყო. ჯერ უარზე დავა, პატივცემულ დიმიტრის ეწყინებო, მაგრამ ბოლოს მაინც დაგვთანხმდა.

სკოლისდროინდელი ისტორია განმეორდა. ამბერკიმ კვლავ ხელბურთელთა გუნდში დაკავა ადგილი და მის შემდეგ სამუდამოდ დაუკავშირდა ამ თამაშს. ბათუმში მშვენიერი შთაბეჭდილება დატოვა და გარი მკაჭავარიანმა, ბურვესტნიკელთა ამჟამინდელმა მწვრთნელმა, ჯანსუღ ბაგრატიონს წარუდგინა — მიხედ ამ ბიჭს, მისგან კარგი ხელბურთელი დადგება.

1974 წელს ამბერკი თბილისის „ბურვესტნიკის“ ხელბურთელთა გუნდში ჩარიცხეს. უფრო ადრე საბჭოთა კავშირის ოლიმპიურ ნაკრების შემადგენლობაში მიიწვიეს. ნაკრებთან ერთად რუმინეთში გამართულ საერთაშორისო ტურნირში მონაწილეობდა, სადაც ჩვენმა გუნდმა პირველი ადგილი დაიკავა.

ამბერკი ტაბიძე 1974 წლიდან მონაწილეობს ხელბურთელთა უმცლესი ლიგის საკავშირო ჩემპიონატში და სპეციალისტები ყოველთვის კარგ შეფასებას აძლევენ მის თამაშს. ამბერკისაც მიუძღვის მნიშვნელოვანი წვლილი იმ წარმატებებში, ქართველთა ხელბურთელთა ბოლო წლებში რომ მოიპოვეს. სსრ კავშირის ხალხთა VI სპარტაკიადებზე ჩვენმა გუნდმა III ადგილი დაიკავა, 1977 წელს ქვეყნის ჩემპიონატის „ბრინჯაოს“ პრიზიორი გახდა, ერთი წლის შემდეგ კი სსრ კავშირის თასი დასააკურთხა. ყველა ამ შეგვიბრებებში გუნდის ერთ-ერთი ლიდერი, რომ იტყვიან, სული და გული, ოლიმპიური თამაშების ჩემპიონ ალექსანდრე ანაილოვოვთან ერთად ამბერკი ტაბიძე იყო.

ბუნებრივია, ამბერკის ოსტატობა, დახვეწილი, ენერგიული თამაში არც სსრ კავშირის ნაკრები გუნდის მწვრთნელს დარჩენიათ შეუქმნველი და შარშან იგი ქვეყნის მთავარ გუნდში მიიწვიეს. ტაბიძემ უკვე 30-ზე მეტი მატჩი ჩაატარა ნაკრების შემადგენლობაში, მონაწილეობდა შედეგის, დანის, იუგოსლავიის, გფრ-ისა და სხვა ქვეყნების საერთაშორისო ტურნირებში. თანდათან მოვიდა გამოცდილება. ტაბიძემ მეტივე და მკვიდრდა ნაკრებში და მკვიდრებში, მოსკოვის ოლიმპიურ თამაშებშიც მოუწიეს გამოსვლა.

მის შემდეგ, რაც დიდ სპორტს თავი დაანებეს აღიარებულმა ოსტატებმა მასპინძელმა, კლემოვმა და სხვებმა, ნაკრებში ახალი თაობა მოვიდა, — ამბობს ამბერკი, — ახლა გუნდის ლიდერება ანაილოვოვი, ჩერნისოვი და კრავოვი ითვლებიან. მონრეალში მოპოვებული დიდი გავილი დაიკავა.

მარჯების შემდეგ, ბუნებრივია, ჩვენს მწვრთნელს მოსკოვის ოლიმპიადებზე ოქროს მედალის მოპოვება აქვთ დაგეგმილი. ეს, რა თქმა უნდა, ძნელი იქნება, მაგრამ უკანასაგნევი გზა არ არის. საერთოდ, ხელბურთზე თუ ვილაპარაკებთ, ახლა ამკარად შეინიშნება ძალისმიერი თამაშის სწრაფობა, რაც ჩემი აზრით, აუფერულეს, უფრო მეტიც, უინტერესოს ხდის ხელბურთს. მთელ რიგ მოწინავე გუნდებში მთავარი ყურადღება ათლეტიზმზე, ფიზიკურ კონდიციონზეა გადატანილი. წმინდა სათამაშო ელემენტები, იმპროვიზაცია, ლამაზი და ეფექტური ხელბურთი კი უკანა პლანზე რჩება. ალბათ ესეცა მიზეზი, რომ ხელბურთელთა მატჩებს, შეგვიბრების რანგის მიუხედავად, ცოტა მაყურებელი ესწრება. თუმცა, ვფიქრობ, ეს მაინც დროებითი მოვლენაა და ათლეტიზმი კვლავ ტექნიკას, ასე ვთქვათ, წმინდა თამაშს დაუთმობს ადგილს.

ხდება ხოლმე: სპორტმენი რაიონის ან ქალაქის ჩემპიონის წოდებას მოიპოვებს და ქვეყანას შეიკრავს, ნახეთ რა გმირობა ჩავიდინეთ. ამბერკი ტაბიძემ მნიშვნელოვან სპორტულ წარმატებებს მიიღწია, სსრ კავშირის ნაკრების წევრი, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი გახდა მაგრამ ისეთივე ჩუმი და მოკრძალებული დარჩა, როგორც მაშინ იყო, როცა პირველად აიღო ხელში მომცრო ბურთი. იგი ახლაც ისეთივე მონღოვანი ვარჯიშობს, როგორც ამ ათიოდ წლის წინ ვარჯიშობდა. წინ კიდევ ახალი სიმაღლეებია და გეგვრა, რომ იგი კიდევ იტყვის თავის ომახიან სიტყვას.

ნ. შუპანიაძე.

ს უ რ ა თ ე : ამბერკი ტაბიძე. ა. კოტორაშვილის ფოტო.

პარკეარკი

ახლა აღიკანტები...

ჯერ კიდევ არ დამცხარა გულშემატკივართა მღელვარება რიო-დე-ჟანეიროს ქალთა საზოგადოების ტურნირში ნანა იოსელიანისა და ნანა ალექსანდრიას დამაბული პაექრობის გამო, რომ დღეს, ესპანეთის ქალაქ ალიკანტეში სტარტს აიღებს ქალთა მეორე საზოგადოების ტურნირი, რომლის მონაწილეთა შორის ნინო გურიელიცაა. ეს შეგვიბრებაც ბევრ საინტერესოს გვეჩვენება.

ტურნირში მონაწილეობენ: დიდოსტატები ე. ახმელოვსკაია, ე. ფაბრიკანტი, მ. ლიტინსკაია (სამივე — სსრ კავშირი), მ. ივანოვა (უნგრეთი), ა. ვან დერ მიდენი (ჟოლია (ჰოლანდია), ტ. ლეიშაქო (ბულგარეთი), საერთაშორისო ოსტატები ნ. გურიელი, მ. რანიკო (ორივე — სსრ კავშირი), გ. ბაუმშტარტი, ა. შტენბერგი (ორივე — რუმინეთი), გ. მარკოვიჩი, ი. პრაკოპოვიჩი (ორივე — იუგოსლავია), ნ. კელნერი (ავსტრალია), ჯ. სავერაიდი (აშშ), ბ. კოსიკო დე ბუდინიჩი (ჩილე), კ. დე არმასი (კუბა) და ჩან ლინ ფუნგი (სინგაპური).

ეს 17 მოჭარაკე პრეტენდენტთა მატჩების სამი საგზურისთვის იბრძოლებს.

რა თქმა უნდა, გულშემატკივრებს ახლაც სურთ იცოდნენ პრეტენდენტთა ვინაობა, მაგრამ ეს შეუძლებელია. ალბათ ყველას გამარჯვების იმედი უღვივის, ისეთსაც კი, როგორცაა ბ. კარასკო დე ბუდინიჩი. მან ქალთა მსოფლიო პირველობაში ერთხელ მისამდე ადგილი დაიკავა, მაგრამ ეს იყო... 1939 წელს. ცხადია, 65 წლის ვეტერანს — გაუჭირდება ახალგაზრდებთან პაექრობა. არც ახალბედა დე არმასსა და ჩან ლინ ფუნგს აქვთ წარმატების რეალური შანსი. მაგრამ ყველა დიდოსტატსა და საერთაშორისო ოსტატების უმრავლესობას საგზურის მოპოვების საფუძვლიანი იმედი აქვთ.

ავილოთ მაგალითად, ე. ახმელოვსკაია და ნ. გურიელი. კრასნოიარსკელი დიდოსტატი ნამდვილი ფავორიტია. ბოლოდროინდელ ტურნირებში იგი მკაფიოდ გამოირჩევა საუცხოო შედეგ-

ბით. ვაიხსენებ, რომ ქალთა მსოფლიო პირველობის წინა ციკლში მან გაიმარჯვა როზენდლის საზოგადოების ტურნირში, მერე პრეტენდენტთა მეოთხედფინალურ მატჩში სძლია ტ. ლეიშაქოს. ახლახან კი პირველი იყო მოსკოვის ქალთა საერთაშორისო ტურნირში. 22 წლის დიდოსტატი პრეტენდენტობის სერიოზული კანდიდატია.

წარმატების საწინააღმდეგოა ნ. გურიელის ენერგიული სტილი და მეტროლის დაუღვარი გული. მისი ბოლოდროინდელი მიღწევები (პირველი ადგილები ბიდგომში ქალთა 2 საერთაშორისო და საბჭოთა ზონალურ ტურნირებში) მეტყველებს მის აშკარა შემოქმედებითს ზრდაზე, ოსტატობის სრულყოფაზე. ნინო მტკიცე ნებისყოფის მოჭარაკეა. ყველა შეხვედრაში მას მხოლოდ ერთი დევნა ამოძრავებს: იერში მეტოქის გვირგვინისაზე. სწორედ ოპტიმიზმი, საკუთარი შესაძლებლობის რწმენა დამატებით ძალას მატებს მას. ვასათვალისწინებელია ისიც, რომ ნინო და მისი მწვრთნელი ოსტატი ი. ჩიქოვანი, როგორც არასდროს, დიდი მუყაითობით, მიზანდასახულად ემზადებოდნენ ესპანეთში საბრძოლველად.

ალიკანტეში გამგზავრების წინ ვესაუბრე დიდოსტატ ნ. გურიელს, რომელიც ნინოს ესპანეთში მწვრთნელად ვაჰყვა. გამოცდილმა მოჭარაკემ და მწვრთნელმა გვითხრა, რომ უმძიმესი ბრძოლაა მოსალოდნელი. მაგრამ გვევრა ნინოს შემართების, გამარჯვებისკენ მისი დაუოკებელი მისწრაფების.

ერთი სიტყვით, ალიკანტეში სტარტის წინ დიდი კითხვის ნიშანი აღიმართა. გულშემატკივრებს აინტერესებთ, ვინ მოხვდება სამეულში. არავინ იცის, ვის გაუღიმებს ჭადრაკის ქალღმერთი კოსია. მაგრამ შეგვიძლია ვთქვათ, რომ იგი იმის მხარეს იქნება, ვინც მეტ შემართებას, გონებამახვილობას და მიზნის მიღწევას შეუპოვრობას გამოიჩენს.

თ. ბიორაძე.

ლინამოვლებთან

მ რ თ ა დ

ბი უკვე მე-18 წელიწადია იასონ ხახიაშვილი თბილისის „ლინამოს“ კოლექტივის „წევრია“. თუმცა ფეხბურთის არ თამაშობს და არც არასდროს უთამაშია, მაგრამ...

თუ ფეხბურთელი სრულყოფილად გამოდის მოედანზე, ბუკები და ბურთი „თანამოზარედ“ ჰყავს, ეს იასონის დამსახურებაა. ი. ხახიაშვილი თბილისის ლინამოელთა გუნდის მეწაღეა და მუდამ თავს დასტრიალებს ფეხბურთელებს — შეხვედრას ატარებენ თუ საწვრთნელ ბაზაზე ვარჯიშობენ ისინი.

ყოველი მატჩის წინ გამოდის მინდორზე ფეხბურთელებთან ერთად იასონი, დიდი ტომარაბალით ბურთები გამოაქვს მოთვლისათვის, ამხნევეს და საბრძოლველად გზას ულოცავს ლინამოელებს.

ლინამოელთა სამ თაობას ვესაუბრებოდი, სამივე ძვირფასია ჩემთვის. გვეუბნება ი. ხახიაშვილი — კარგი ბიჭები არიან. ვერ გამიჩრჩევია ერთმანეთისაგან, ვით მაშას — შვილები. მხარია, რომ მათი დიდი გამარჯვებების თანამგზავრი ვარ. ახლა პამბურგში ვაცილებ...

მ. მავალიძე.

კ. შანიძის ფოტო.



ფანეზურთი

დამთავრდა დედაქალაქის პირველობა ფრენბურთში II ჯგუფის გუნდებს შორის.


ქალთა შეგვიბრებში „განთიადის“, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ქარხანა „ელექტროპარატის“, თბილისის განათლების სამმართველოსთან არსებული ოლიმპიური რეზერვის ფრენბურთის სპეციალიზებული სკოლის (ორი გუნდი), პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტი-

პირველი ჯგუფში გამოვლენ

ტუტის, პოლიტექნიკური და მანქანათმშენებლობის ტექნიკუმების ფრენბურთელები მონაწილეობდნენ.

წარმატებით იასპარეხეს ოლიმპიური რეზერვის სპეციალიზებული სკოლის ფრენბურთელებმა — I-II ადგილები ამ სკოლის გუნდებმა დაიკავეს, III ადგილებზე „განთიადის“ ნაკრები. ვაჟთა პექრობაში ზემოხაზით კოლექტივებთან ერთად პოლიტექნიკური (ორი გუნდი) და ფიზკულტურის ინსტიტუტების ფრენბურთელებიც ჩაებნენ.

ქვეჯგუფებში გამარჯვების შემდეგ ფინალში ერთმანეთს შეხვედნენ ფრენბურთის სკოლისა (მეორე გუნდი) და ფიზკულტურის ინსტიტუტის ფრენბურთელები. ეს შეხვედრა სპორტსკოლეებმა მოიგეს ანგარიშით 2:0. II ად-



გილზეა ფიზკულტურის ინსტიტუტის, ხოლო მესამეზე — პოლიტექნიკური ინსტიტუტის მეორე გუნდი.

აქვე უნდა ითქვას, რომ II ჯგუფის გუნდებს შორის შეგვიბრება ორი წელია რაც განახლდა. შარშანდელთან შედარებით, წლეულს კოლექტივები უკეთ მომზადებულნი გამოვიდნენ, ვიზარდა მონაწილეთა რაოდენობაც. შეგვიბრების დებულების თანახმად, გამარჯვებული გუნდები მომავალ წელს I ჯგუფში გამოვიდნენ.

ბ. სალუშაძე.

ს უ რ ა თ ე : ასპარეზობენ საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტისა და ფრენბურთის სპეციალიზებული სპორტსკოლის გუნდები.

ავტორის ფოტო.

«სპორტოლოცია»

20 ოქტომბერს მოსკოვში მოეწყო „სპორტოლოცია“ მორიგი, 42-ე ტირაჟი.

„სპორტოლოცია 6-49“-დან: პირველი: 6, 19, 25, 27, 37, 49 (შელავთიანი ბურთულა — 1).

მეორე: 4, 14, 16, 30, 31, 40 (შელავთიანი ბურთულა — 21). „სპორტოლოცია 5-36“-დან: პირველი: 16, 18, 21, 28, 35. მეორე: 3, 4, 10, 14, 33.

რედაქტორი ბ. ბასილიანი.